პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТбК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 58 (11062) | სამშაბათი, 11 მარტი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

მტს-ების რეორგანიზაცია, ისევე როგორც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რაც უკანასკნელ ხანს განხორციელდა, მოწოდებულია უზრუნველყოს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა და წარმოების რეზერვებს სრულად გამოყენება, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის შემდგომი განვითარება, დააჩქაროს საბჭოთა საზოგადოების წინსვლა კომუნიზმის გზით.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ").

სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის ნათელი გზა

საქართველოს მშრომელები იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს

★ ★ ★ ★ ★ ★

დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ამ დღეებში „პრავდის" რედაქციას მოსულის ასობით წერილი. თავიანთ წინადადებებს აყენებენ ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები და ინჟინრები, კოლმეურნეები, ტრაქტორისტები და კომბაინერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, საბჭოთა არმიის მეომრები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ყველა ისინი განსაკუთრებული ერთსულოვნებით იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებას „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ" და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიაზე ამანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. საბჭოთა ადამიანები მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდას.

წერილებს ავტორები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საკითხებს. ეს საკითხები გადაგდებია. კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვა დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. იგი ეხება მილიონობით კოლმეურნის ინტერესებს, აგრეთვე სახელმწიფოს, მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებს. ბუნებრივია, რომ ამ სამუშაოს სწორი ორგანიზაცია უმნიშვნელოვანესი რგოლია კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების გარდაქმნაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ დასახული რეორგანიზაცია მტს-ებისა დიდი და პასუხსაგები საქმეა, მას უნდა მივუდგეთ ფრთხილად, ქვეყნის ამა თუ იმ რაიონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

წინასწარი გაანგარიშებანი გვიჩვენებენ, რომ კოლმეურნეობათა უმრავლესობას, განსაკუთრებით შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, უკრაინაში, ყუბანსა და მთელ რიგ სხვა რაიონებში, შეუძლია ერთბაშად შეიძინოს მტს-ების ტექნიკა. ცალკეულ რაიონებში კი, განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში, ასეთ კოლმეურნეობათა რიცხვი ნაკლები იქნება. ამიტომ ზოგიერთ ზონაში, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია გარკვეული დროით შევინარჩუნოთ მტს-ები, რათა მათს მომსახურებაში მყოფი ყველა კოლმეურნეობის ეკონომიკის აღმავლობის მიხედვით შესაძლებელი გახდეს მათთვის ტექნიკის თანდათანობით მიყიდვა.

ემზადებიან რა მტს-ების რეორგანიზაციისათვის, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან მთლიანად გაითვალისწინონ ამა თუ იმ რაიონის თავისებურებანი, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიყიდვის მოსაწყობად.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია მიმდინარეობს ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის ვითარებაში. „პრავდაში" გამოგზავნილი წერილების ავტორები მრავალი მაგალითით გვიჩვენებენ, რომ ახლა კოლმეურნეობებში მოიპოვება მატერიალური პირობები ტექნიკის შესაძენად. ამასვე მოწმობენ მონაცემები კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის შესახებ. თუ 1952 წელს ეს შემოსავალი შეადგენდა 42,8 მილიარდ მანეთს, 1956 წელს იგი გადიდდა 94,6 მილიარდ მანეთამდე, ანუ ერთიოროად და მეტად.

საკოლმეურნეო წარმოების ზრდასა და მისი საქონლიანობის გადიდებასთან დაკავშირებით განუყოფელ ფონდებში კოლმეურნეობათა ანარიცხი 1958 წელს, დაახლოებითი გამოანგარიშებით, შეადგენს 25 მილიარდამდე მანეთს, ხოლო ამ მანქანების მთელი ღირებულება, რომლებიც კოლმეურნეობებს უნდა მიეყიდოს, გაცვეთის მხედველობაში მიღებით საორიენტაციოდ 18-20 მილიარდი მანეთი იქნება. შესაბამისი განვადების დაწესების შემდეგ ტექნიკის შესაძენად ასეთი ხარჯების გაწევა სავსებით შესაძლებელია საკოლმეურნეო წარმოების უკვე ახლანდელი დონის პირობებში, ხოლო

„პრავდის" 10-III მოწინავე

შემდგომ, როცა განუხრელად გაიზრდება საზოგადოებრივი მეურნეობა, ამ ხარჯების გაწევა კიდევ უფრო ადვილი იქნება.

მოწინავე არტელების კოლმეურნეებს, რომლებიც თავიანთ კრებებზე განიხილავენ ტექნიკის ყიდვის საკითხს, გამოაქვთ გადაწყვეტილება, რომ მიმდინარე წელსვე სრულად გადაიხადონ მანქანების ღირებულება. ასე მოიქცნენ კრასნოდარის მხარის ნოვო-ტიტაროვკის რაიონის კალინინის სახელობის, ოდესის ოლქის ბერეზოვკის რაიონის ბუდიონის სახელობის, კურსკის ოლქის ხომუტოვის რაიონის სოფელ კალინოვკის არტელების, უზბეკეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობა „შარკ იულდუზის", ყაზახეთის სსრ კოლმეურნეობა „აღმოსავლეთის სხივის" და ბევრი სხვა არტელის კოლმეურნეები. რედაქციაში გამოგზავნილ წერილებში სოფლის მეურნეობის მშრომელები მხარს უჭერენ იმას, რომ ეკონომიურად ღონიერმა კოლმეურნეობებმა ნაყიდი მანქანების ღირებულება გადაიხადონ 1-2 წელიწადში, ყველა სხვა კოლმეურნეობამ — 2-3 წელიწადში, ცალკეულ შემთხვევებში კი — ხუთ წელიწადში. უეჭველია, რომ ეს ვადები რეალურია. ისინი შეესაბამებიან კოლმეურნეობათა ეკონომიური განვითარების თანამედროვე დონეს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დოკუმენტებში ხაზგასმით არის აღნიშნული სარემონტო-ტექნიკური სადგურების ზუსტი მუშაობის ორგანიზაციისა და იმის დიდი მნიშვნელობა, რომ შეუფერხებლად მოეწყოს სოფლის მეურნეობის მომარაგება საწვავით, სათადარიგო ნაწილებით, სასუქებით და სხვა მატერიალური ფასეულობებით. შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების გადაჭრას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მანქანა-ტრაქტორთა პარკის სწორი ექსპლოატაციისათვის. ამჟამად კოლმეურნეობებს ამარაგებს ბევრი ორგანიზაცია. მოხსენების თეზისებში აღნიშნულია, რომ საჭიროა შეიცვალოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების არსებული ორგანიზაცია, მიუახლოვდეს იგი კოლმეურნეობებს და მთელი ეს საქმე ხორციელდებოდეს ერთ ადგილას.

მხარს უჭერენ რა ამ წინადადებას, მშრომელები აღნიშნავენ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ, ახლავე მოვიფიქროთ თვითეული რაიონის პირობების შესაბამისად, თუ რა წესით უნდა ხორციელდებოდეს კოლმეურნეობათა მომარაგება, განსაკუთრებით სათადარიგო ნაწილებით. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ასეთ წინადადებებს. კოლმეურნეობები ტრაქტორებსა და მანქანებს უკვე ახლა ყიდულობენ. მათ სათადარიგო ნაწილები დასჭირდებათ არა რაღაც შორეულ მომავალში, არამედ სულ უახლოეს ხანში, მინდვრის მასობრივ სამუშაოთა დროს.

თავისთავად იგულისხმება, რომ აქ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით იმ საწარმოთა კოლექტივებს, რომლებიც ამზადებენ სათადარიგო ნაწილებს, ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობას საბჭოებს. ოლქების, მხარეებისა და რეპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად საწარმოებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ საჭირო ღონისძიებანი სათადარიგო ნაწილების წარმოების გადიდებისათვის, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მოთხოვნილება მათზე.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოთა კოლექტივებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაკთა წინაშე ისახება სხვა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაც — უკეთ მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება ახალ პირობებში, გაითვალისწინონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკრეტული მოთხოვნილებანი. კოლმეურნეობისათვის დიდმნიშვნელოვანია, რომ მანქანების მცირე რაოდენობით სრულდებოდეს რაც შეიძლება მეტი სახეობის სამუშაო კოლმეურნეთა შრომის ნაკლები დახარჯვით. საქმე ეხება იმას, რომ ტრაქტორს საჭირო რაოდენობით მივცეთ საკიდი იარაღები, რომლებსაც თვით ტრაქტორისტები მართავენ უმიმმელოდ, რომ მანქანები გამოშვებულ იქნას სხვადასხვა ზონის ნიადაგისა და ჰავის გათვალისწინებით. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ზოგიერთი საკითხის გადაჭრას. დამზადების არსებული სისტემის დროს შეიქმნა კოლმეურნეობებთან სახელმწიფოს ეკონომიური ურთიერთობის გარკვეული ფორმები. სახელმწიფო კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევს მტს-ების მეშვეობით, ამარაგებს მათ საწვავით, სასუქებით — ყოველივე იმით, რაც საჭიროა საზოგადოებრივი წარმოების გაძღოლისათვის. თავის მხრივ კოლმეურნეობები საბჭოთა მეურნეობებთან ერთად უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, ამასთან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შემოდის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების სახით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ახალ პირობებში დამზადების ფორმის საკითხი გადაწყდება მისი გულდასმით შესწავლის შემდეგ. მაგრამ უკვე ახლა ცხადია, და ამას მხარს უჭერს ყველა მშრომელი თავის წერილებში, რომ დამზადების ყოველი ფორმის დროს სახელმწიფომ უნდა მიიღოს იმდენი პროდუქტები, რამდენიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის მთელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მოხსენების თეზისებში აღნიშნულია, რომ დამზადების გეგმის დადგენისას ამოსავლად აღებულ უნდა იქნას მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების ის რაოდენობა, რომელიც იქმნება ყველა სახეობის შემოსავლიდან, ე. ი. სავალდებულო დამზადებიდან, სახელმწიფო შესყიდვიდან, კონტრაქტაციიდან და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობისათვის ნატურანაზღაურებიდან. ეს რაოდენობა ამოსავალი უნდა იყოს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მოცულობის გადიდებისათვის მთავარია წარმოების დონე. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია ქმნის პირობებს მარცვლეულის, ხორცის, რძის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ტექნიკური და სხვა კულტურების წარმოების განუწყვეტელი ზრდისათვის. ეჭვი არ არის, რომ თუ გონივრულად მივუდგებით ახალ პირობებში დამზადების ორგანიზაციას, სახელმწიფო შეძლებს დროზე მიიღოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები საჭირო რაოდენობით.

როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დოკუმენტებშია აღნიშნული, ჩანს, უკვე ახლა შეიძლება ტრაქტორები და სხვა მანქანები მიეყიდოთ იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც შეუძლიათ მათი შეძენა და რაციონალურად გამოყენება. მოწინავე კოლმეურნეობებმა დაიწყეს მანქანების შესყიდვა მტს-ებში. დიდმნიშვნელოვანია, რომ ეს სამუშაო სრულდებოდეს პარტიული ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობით, რომ ამასთან გათვალისწინებულ იქნას საგაზაფხულო თესვისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროზე შესრულების საჭიროება. მანქანებთან ერთად კოლმეურნეობებში გადავა ათასობით მექანიზატორი. მათი მზრუნველობით შეხვედრა, ნაყოფიერი მუშაობისათვის პირობების შექმნა პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა.

პერიოდი, როცა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია ჩადდება, ემთხვევა დიდმნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. სამხრეთი რაიონების კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო თესვა დაიწყეს. საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რაოდენ დიდია თესვის წარმატებით ჩატარების მნიშვნელობა მოსავლისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია, რომ მინდვრების მშრომელები ახალ პირობებში კიდევ უკეთ გამოიყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სამშობლოს მისცემენ მეტ მარცვლეულს, შაქრის ჭარხალს, ბამბას, ბოსტნეულს, კარტოფილს, ხორცს, რძესა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. ამით გადადგმული იქნება დიდი ნაბიჯი წინ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო პოლონეთის გაზეთის „ტრიბუნა ლიუდუს" წარმომადგენლები

10 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუს" სარედაქციო კოლეგიის წევრი ზ. ბრონნიარეკი და გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუს" მუდმივი კორესპონდენტი მოსკოვში მ. ლუკი, მათი თხოვნით, და საუბარი ჰქონდა მათთან. (საკ. ინ.).

მინდვრად გავიდნენ კოლმეურნეობათა ტრაქტორები

ეს დღეები საკოლმეურნეო სოფლებში განსაკუთრებული მოვლენებით ხასიათდება. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებამ და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა ახალი შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია. ამ მხრივ დამახასიათებელია მარნეულის რაიონის მაგალითი. საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობები ყოველწლიურად თესავენ თექვსმეტ ათას ჰექტარზე მეტ მარცვლეულს, რგავენ 2.500 ჰექტარ თამბაქოს, აქვთ კარგად განვითარებული საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

— ასეთ პირობებში, — თქვა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. მამედოვმა, — სავსებით დროული და მიზანშეწონილია ტექნიკის გადაცემა ერთი პატრონისათვის. რამდენიმე დღეა მტს-ების რეორგანიზაცია დაიწყო და კოლმეურნეებმა უკვე ძირითადად შეიძინეს იარაღ-მანქანები. მინდვრებში გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები კოლმეურნეობათა საკუთარი ტექნიკის გამოყენებით.



— კოლმეურნეები, — განაცხადა მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. აივაზოვმა, — დიდი მოწონებით შეხვდნენ პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებებს. წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით უკვე შევისყიდეთ 17 ტრაქტორი, 7 კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ამ საქმეზე დაახლოებით 450.000 მანეთი გვეხარჯება. კოლმეურნეობას კი განუყოფელ ფონდში ერთ მილიონ მანეთზე მეტი აქვს. წელს ეს ფონდი უფრო გაიზრდება, რადგან ფულადმა შემოსავალმა 5 მილიონ მანეთს უნდა მიაღწიოს.

— ამჟამად ჩვენი პასუხისმგებლობა ორკეცდება, — ამბობს ა. აივაზოვი. — როცა მტს-ი გვემსახურებოდა, ბევრი რამ კარგი გაკეთდა. მაგრამ გულახდილად ვიტყვი იყო შემთხვევა, როცა ხვნის თუ თესვის გეგმა არ სრულდებოდა. ამას ჩვენ მტს-ს ვაბრალებდით, მტს-ი კი ჩვენ. იმართებოდა დავა. ახლა გეგმის შესრულებისა და ხარისხისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის უშუალოდ კოლმეურნეობა აგებს პასუხს.

— მანამდე ეს ასე იყო, მომავალში ყველა პირობა შეიქმნება ტექნიკის უკეთესად გამოყენებისათვის. კოლმეურნეობაში დაინტერესებაც მეტი იქნება. სამიოდე დღეა, რაც კოლმეურნეობამ ტექნიკა მიიღო და უკვე დაიწყო ტექნიკის შესანახი დიდი ფარდულის მშენებლობა. მინდვრად ახალი ძალით გუგუნებენ ტრაქტორები და ერთი პატრონის ხელში დდ ხვავსა და ბარაქას გვპირდებიან — გვიამბეს მარნეულის მტს-ის დირექტორმა ე. ბაბასიანმა და მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ხარჩილაძემ.

ტექნიკით მდიდრდება კოლმეურნეობები, მარტო მარნეულის მტს-მა ზონის კოლმეურნეობებს უკვე გადასცა 60 ტრაქტორი — 22 კომბაინი, წითელხიდის მტს-მა — 37 ტრაქტორი, 16 კომბაინი, შულავრის მტს-მა კი 57 ტრაქტორი, 27 კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნა ორი სატრაქტორო ბრიგადა, რომლებსაც მ. ალიევი და ხ. მამედოვი ხელმძღვანელობენ. კოლმეურნეთა კრებამ გადაწყვიტა იყოლიონ ერთი ინჟინერ-მექანიზატორი. აქაურმა კოლმეურნეებმა ახალშეძენილი ტექნიკით ფართოდ გააჩაღეს საგაზაფხულო სამუშაოები.

ნ. ჯანჯღავა.

„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: მარნეულის მტს-ის მთავარი ინჟინერი ა. დარჩია (მარცხნივ), მტს-ის დირექტორი ე. ბაბასიანი, მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. აივაზოვი და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე გ. ხარჩილაძე აფორმებენ მტს-დან კოლმეურნეობისათვის კომბაინების გადაცემას.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ტექნიკას იძენენ

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე დაიწყეს ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესყიდვა მტს-ებისაგან. მტს-ების მუშაკები საზეიმო ვითარებაში გადასცემენ ტექნიკას კოლმეურნეობებს, გულთბილად აცილებენ მექანიზატორებს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან კოლმეურნეობებში.

მანქანა-ტრაქტორთა შესყიდვა პირველად დაიწყო ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელ მტს-ში. აქ დილიდანვე მიდიოდნენ სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის", ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის, კალინოვკის კალინინის სახელობის და ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობების წევრები, რომლებმაც პირველ დღეს შეიძინეს 18 ტრაქტორი, 10 კომბაინი და სხვა იარაღ-მანქანები.

ვარდისუბნის მტს-ში მივიდნენ სოფელ თამარიანის კოლმეურნეობა „პირველი მაისისა" და ვარდისუბნის გორკის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლები. გორკის სახელობის კოლმეურნეობამ მტს-საგან ნაღდ ანგარიშზე შეისყიდა 5 ტრაქტორი, 3 კომბაინი და სხვა იარაღები.

რაიონის 3 მტს-დან ტექნიკა უკვე მიიღო 8 კოლმეურნეობამ. კოლმეურნეობები მტს-ებიდან წელს სულ შეიძენენ 5 მილიონ 730 ათასი მანეთის ტექნიკას. კოლმეურნეობათა უმრავლესობა წელსვე დაფარავს შესყიდვის ღირებულებას.

ახალი ვალდებულებანი

წულუკიძე. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში, ჩაის ფაბრიკებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურში გულდასმით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. აგიტატორები და მომხსენებლები განუმარტავენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს ამ ისტორიული დოკუმენტების სასიცოცხლო მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისა და კოლმეურნე გლეხობის ინტერესებისათვის.

სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ქუთათელაძემ, გამოხატა რა კოლმეურნე გლეხობის ფიქრები და აზრები, საერთო კრებაზე განაცხადა:

— მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ისტორიული როლი შეასრულეს საარტელო მეურნეობის განვითარების საქმეში. მათგან კოლმეურნეობები ბევრად არიან დავალებული. მაგრამ ახლანდელ ეტაპზე საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებას მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ერთგვარად აფერხებენ. ჩვენს კოლმეურნეობას მრავალდარგოვანი მეურნეობა აქვს. მართალია, გასულ წელს დავალებები შევასრულეთ, მაგრამ უკეთესი წარმატებები გვექნებოდა ტექნიკა კოლმეურნეობის ხელში რომ ყოფილიყო.

ივანდიდელთა ვალდებულება ათვალისწინებს წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღონ 1.000 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 კილოგრამისა, 250 ჰექტარი ფარითობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 15 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 13 ცენტნერისა.

კოლმეურნე ფრაქციონისტთა ღირსების საქმე

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები მტს-იდან იძენენ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს. ამ დღეებში სოფელ შუხუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ჩხაიძემ ლანჩხუთის მტს-იდან საზეიმო ვითარებაში შეისყიდა 2 ტრაქტორი მისაბმელი იარაღ-მანქანებით. კოლმეურნეობის საერთო კრებამ გადაწყვიტა წელს განუყოფელი ფონდიდან მთლიანად დაფაროს შეძენილი იარაღ-მანქანების ღირებულება.

ამჟამად მტს-იდან შესყიდულ ტრაქტორს შეუფერხებლად მართავს ამავე სოფლის მკვიდრი ს. ორაგველიძე. იგი სიმინდის დათესვისდა საგაზაფხულო ხვნის ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს. ასევე ნაყოფიერად მუშაობენ კოლმეურნეობის ტრაქტორისტები დ. ქიქავა და ს. ორაგველიძე.

შრომის ტემპი გაძლიერდა

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში გულდასმით ეცნობიან შშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის უმნიშვნელოვანეს დადგენილებას „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ". ეკვსასზე მეტი აგიტატორი კონკრეტული ფაქტებით მოუთხრობს მექანიზატორებსა და კოლმეურნეებს მტს-ების რეორგანიზაციისა და საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ხ. დაღუნდარიძე კანტორაში დაგვხვდა, უბის წიგნაკი ამოიღო და ციფრებს წერდა: „ხვნა-თესვისათვის საჭიროა „დტ-54" მარკის ორი ტრაქტორი, ასათვისებელი გვაქვს ორასი ჰექტარი ტყიანი და ჯაგნარი მიწა, მას „ს-80" მარკის ტრაქტორი ჭირდება, ვენახების დამუშავებას „კდ-35" მარკის ორი ტრაქტორი უზრუნველყოფს, პურეულის მოსავლის ასაღებად საკმარისია ორი კომბაინი. საჭიროა სათესი მანქანები, კულტივატორები და სხვ. წელს საამისოდ სამასი ათასი მანეთის გამოყოფა მოხერხდება" — აი მისი ჩანაწერის შინაარსი.

ვაზისუბნელები პლენუმის დადგენილების პასუხად მუშაობას აძლიერებენ. პირუტყვის საკვებად 20 ჰექტარი ჭარხალი დათესეს, გეგმა კი 15 ჰექტარს ითვალისწინებდა. დაამთავრეს მზესუმზირას თესვაც. სამას ჰექტარზე მეტი ვენახი აქვთ, და იგი მთლიანად გახსლულია. დაიწყეს და მალე დაამთავრებენ ვენახებში საგაზაფხულო ხვნას. მეცხოველეებიც მამაცობენ. მიმდინარე წლის ორ თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 130 ცენტნერით მეტი რძე მიიღეს.

შრომას აძლიერებენ სოფელ შრომის კოლმეურნეობის წევრებიც. არცერთი სახის სამუშაო ჩამორჩენილი არ არის. ვენახები საუკეთესოდ არის მოვლილი, საადრეო საგაზაფხულო კულტურები დათესეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. ძამსაშვილმა განაცხადა:

— ყველა, ვინც კი ახლოს იცნობს საკოლმეურნეო წარმოებას, სულით და გულით მიესალმება პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ დადგენილებას. კოლმეურნეობების ხელში მანქანა-იარაღების თავმოყრა მკვეთრად აამაღლებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, მეცხოველეობის პროდუქტიულობას. შარშან ჩვენი კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 2.890 ათას მანეთს მიაღწია. წელს 3.500 ათას მანეთს მივიღებთ. კაპიტალურ დაბანდებათა ფონდში 450 ათასი მანეთი გვექნება. აქედან ორასი ათას მანეთზე მეტს მანქანა-იარაღების შესაძენად გადავდებთ. ჩვენ მექანიზატორთა შესანიშნავი კადრები გვყავს. მათ შორის არიან ვ. გოჩიაშვილი, ა. ჯავახიშვილი, გ. ძამსაშვილი და სხვები. ისინი მოხარული არიან, რომ ჩვენთან იმუშაონ.

პლენუმის დადგენილებას ერთსულოვნად იწონებენ ბაკურციხის, კარდანახის, ველისციხისა და სხვა სოფლების კოლმეურნეები.

ს. ძოწილაძე,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

შთამაგონებელი პერსპექტივები

ვ. მ უ ა ვ ა ნ ა ძ ე,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სადაც უნდა მივიდეს დღეს კაცი — სამრეწველო საწარმოში თუ მშენებლობაზე, კოლმეურნეობასა თუ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, საბჭოთა მეურნეობასა თუ დაწესებულებაში, — იგი ყველგან მოწმე იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების და საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვისა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

როგორც ეს ყოველთვის ხდება, როცა კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნისათვის საარსებოდ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს, მან ამჯერადაც რჩევისათვის მიმართა ხალხს. და აი წამოყენებულ პრობლემაზე ახლა აქტიურად მსჯელობენ მუშები და კოლმეურნეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, საბჭოთა არმიის მეომრები.

ძნელია გადაჭარბებით შეეფასოთ იმ ღონისძიებათა მნიშვნელობა, რომლებსაც პარტია ახორციელებს და რომლებიც კონკრეტულად ჩამოყალიბებულ ისტორიულ პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებების შემოქმედებითი გამოყენების მაგალითს წარმოადგენენ.

კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების შეცვლა, მათთვის ტექნიკის მიყიდვა მოასწავებს ახალ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მტს-ების რეორგანიზაცია ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემდგომ მკვეთრ ზრდას, სახავს უფრო ფართო გასაქანს საწარმოო ძალების განვითარებისათვის.

ყველასათვის ცხადია, რომ თუ ყოველმხრივ არ განვავითარებდით მძიმე ინდუსტრიას, საერთოდ მანქანათმშენებლობას და კერძოდ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას, შეუძლებელი იქნებოდა უზრუნველგვყოო ტექნიკაზე საკოლმეურნეო სოფლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, ტექნიკური ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მრავალფეროვანი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომლის უნარიანი, უფრო რაციონალური გამოყენება, უეჭველია, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ მძლავრ აღმავლობას გამოიწვევს.

ჩვენი პარტიის ძალაა მისი განუყრელი კავშირი ხალხთან. განუხრელად ახორციელებს რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, პარტიამ მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები ჩააბა შემოქმედებითს აღმშენებლობითს მუშაობაში. განა ამას არ მოწმობს, კერძოდ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაგალითო აღმავლობა! განა ამას არ მოწმობს რესპუბლიკის მიდწევები საკოლმეურნეო მშენებლობაში, ჩაის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა დიდმნიშვნელოვანი პროდუქციის წარმოების სულ უფრო მზარდი გადიდება!

სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვან ძვრებზე რომ ვლაპარაკობთ; არ შეიძლება არ შევეხოთ აგრეთვე რესპუბლიკის მთიანი რაიონების საზოგადოებრივი სიმდიდრის ძირითადი წყაროს — მეცხოველეობის აღმავლობას. ცოდვა გატეხილი სჯობს, მეცხოველეობის პროდუქტიულობა საქართველოში დიდხანს დაბალი იყო. შედარებით ცოტა ხნის წინათ საშუალოდ ერთი ძროხის წველადობა სულ რაღაც 350-370 ლიტრს შეადგენდა. საქმის ასეთი ვითარებისათვის საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არაერთხელ იყვნენ გაკრიტიკებულნი. და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ კრიტიკამ სარგებლობა მოგვიტანა. მარტო უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში რძის წარმოება რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გადიდდა, ხოლო ერთი ძროხის საშუალო წველადობამ უკვე ათას ლიტრს გადაამეტა.

რაკი დარწმუნდნენ წველადობის გადიდების რეალურ შესაძლებლობებში, რესპუბლიკის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს არ დასჯერდნენ მიღწეულს და პირობა დადეს წელს მიაღწიონ თვითეული ძროხაზე სულ მცირე 1.500 ლიტრი რძის მიღებას. დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი თავიანთ სიტყვას შეასრულებენ, თავიანთ წვლილს შეიტანენ იმ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტაში, რომ უახლოეს ხანში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე რძის, კარაქის, ხორცის წარმოების მხრივ.

წარმოების ზრდის საფუძველზე ბევრად გადიდდა კოლმეურნეობათა შემოსავალი. გასულ წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მიიღეს ორ მილიარდ მანეთზე მეტი შემოსავალი — ხუთასი მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1953 წელს. შემოსავლის განუხრელი ზრდა, რა თქმა უნდა, პირდაპირ დამოკიდებულია უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვან ზრდაზე.

დღეს, როცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მტკიცედ მიდის აღმავლობის გზით, როცა ისმენ გამოსვლებს აქტივის კრებებზე და პარტიული და საბჭოთა მუშაკების, სპეციალისტების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, სასოფლო-სამეურნეო **არტელების წევრების, მექანიზატორების თათბირებზე, კვლავ და კვლავ მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ მტს-ების რეორგანიზაციის საკითხი თვით ცხოვრებამ წამოაყენა.**

საბჭოთა ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების მაგალითით თვალნათლივ ხედავს, რომ კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური პოლიტიკა ასახავს ჩვენი განვითარების კანონზომიერებას, სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის ძირეულ ამოცანებს.

როცა ლაპარაკია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მომავალ რეორგანიზაციაზე, უწინარეს ყოვლისა ანგარიში უნდა გაეწიოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკას, სპეციფიკას ადგილებზე.

მტს-ების რეორგანიზაციის განხორციელება პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან მოითხოვს დიდ ორგანიზატორულ მუშაობას, ყოველ ცალკეულ კოლმეურნეობაში საქმის მდგომარეობის გულდასმით, დაკვირვებით შესწავლას, თვითეული რაიონის კონკრეტული სპეციფიკური პირობების გათვალისწინებას.

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის გამოცდილებამ ბევრი რამ ასწავლა ჩვენს კადრებს. ეჭვს გარეშეა, რომ ამჯერადაც ისინი წარმატებით გაართმევენ თავს პარტიის მიერ დასახულ ამოცანას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურებაა მისი მრავალდარგიანობა, რაც დაკავშირებულია გეოგრაფიული და კლიმატური პირობების დიდ მრავალფეროვნებასთან. ეს გვავალებს წინდახედულება და შორსმჭვრეტელობა გამოვიჩინოთ გარდაქმნის საკითხის გადაწყვეტისას.

მთავარი, რასაც უნდა მივაპყროთ ყურადღება, ის არის, რომ რესპუბლიკაში, მსხვილ, ეკონომიურად ძლიერ კოლმეურნეობებთან ერთად, რომლებსაც 5-დან 20-ზე მეტი მილიონი მანეთი შემოსავალი აქვთ, ცოტა როდია გაცილებით ნაკლები შემოსავლის მქონე წვრილი კოლმეურნეობები.

ვეყრდნობით რა ჩვენი კოლმეურნეობების ახლანდელ ეკონომიურ მდგომარეობას, **ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ რესპუბლიკის სამასამდე სასოფლო-სამეურნეო არტელს შეუძლია ერთ-ორ წელიწადში გამოისყიდოს მათთვის საჭირო მთელი ტექნიკა, კოლმეურნეობათა მეორე ნაწილს ტექნიკის გამოსყიდვის უფრო ხანგრძლივი ვადა დასჭირდება. ხოლო მთის კოლმეურნეობებისათვის, რომლებსაც არ ძალუძთ გამოისყიდონ და მთლიანად დატვირთონ მანქანები, მიზანშეწონილი იქნება სარემონტო-ტექნიკურ სადგურებთან შეიქმნას სპეციალური გასაქირავებელი პუნქტები.**

მტს-ების მომავალი რეორგანიზაცია დიდ პერსპექტივებს ქმნის სოფლის მეურნეობის შემდგომი სპეციალიზაციისათვის. როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულება ჩაის, ყურძნის, ციტრუსოვანი კულტურების, თამბაქოს, ეთერზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურების მოყვანაა. სპეციალიზაციაზე რომ ვლაპარაკობთ, ბუნებრივია, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ამ ძვირფასი კულტურების განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური კულტურები ყველაზე შრომატევადია, მათი დამუშავების ძირითადი საწარმოო პროცესები დღემდე კიდევ არ არის მექანიზებული. მტს-ებში არსებული ტექნიკის კოლმეურნეობებისათვის გადაცემა, თუ ეს ტექნიკა უნარიანად იქნება გამოყენებული, **შედარებით** შეუმსუბუქებს შრომას კოლმეურნეს, რომელიც ტექნიკური კულტურების მოყვანას მისდევს, გაადიდებს მისი შრომის ნაყოფიერებას, აამაღლებს მოსავლიანობას. „შედარებითო“ იმიტომ ვამბობთ, რომ ახლანდელ პირობებში შრომატევადი პროცესების უფრო ფართო მექანიზაციისათვის შესაბამისი პრაქტიკული შესაძლებლობები არ არის. თუმცა იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც სპეციალურად ტექნიკური კულტურები მოჰყავთ, დიდი შემოსავალი აქვთ და შეუძლიათ შეისყიდონ საჭირო სპეციალური მანქანები, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენს მტს-ებს ამჟამად არ მოეპოვებათ ამ კოლმეურნეობებისათვის საჭირო ტექნიკა, ვინაიდან მრეწველობის მიერ გამოშვებული მანქანების ნომენკლატურა და მათი რაოდენობა მეტად შეზღუდულია.

მართალია, ჩვენმა კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს მაღალი წარმადობის მთელი რიგი მანქანები, ხოლო საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო მათს სერიულ გამოშვებას შეუდგა, მაგრამ საჭიროა ამ მანქანების წარმოების უფრო მაღალი ტემპები, რათა უახლოეს ხანში უზრუნველყოთ საქართველოს კოლმეურნეობები ამ მანქანების საჭირო რაოდენობით.

თვითეული ადამიანი, ვინც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას გაეცნობა, ადვილად დარწმუნდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის მელიორაციას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მშრომელები აყენებენ წინადადებას სარემონტო-ტექნიკურ სადგურებთან ერთად შეიქმნას სპეციალური სარაიონთაშორისო სამანქანო-სამელიორაციო სადგურები, რომლებსაც ექნებათ მძიმე ტრაქტორები, ბულდოზერები, არხსათხრელები, ექსკავატორები და სხვა მანქანები პლანტაჟის, ამოშრობისა და რწყვის სამუშაოთა საწარმოებლად. ისინი განსაკუთრებით საჭიროა რესპუბლიკის სუბტროპიკებისა და ვაკე რაიონების პირობებში. ასეთი სადგურები სამეურნეო ანგარიშზე უნდა იმყოფებოდნენ და სამუშაოებს ასრულებდნენ კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების საწყისებზე. თუ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო არტელები მიიღებენ დახმარებას ასეთი ტექნიკით, საქართველო მნიშვნელოვნად გაადიდებს ტექნიკური და სხვა კულტურების წარმოებას.

ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პარტიის რაიკომების მდივნების, რაიაღმასკომების თავმჯდომარეების თათბირები. ჩვენ ვეთათბირეთ აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, მტს-ების დირექტორებს. ისინი ყველანი ერთხმად **იძლეოდნენ წინადადებას განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში აგდილობრივი საბჭოების როლის გაძლიერებისათვის. აღნიშნავდნენ, რომ მტს-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საჭიროა აღმასკომებთან შეიქმნას ინსპექტორთა ჯგუფები ან სასოფლო-სამეურნეო განყოფილებები. ეს უზრუნველყოფს სახელმწიფო კონტროლს კოლმეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სახელოსნოების მუშაობისადმი.**

ყველანი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ საჭიროა სწორად მოეწყოს დამზადებები, რათა სახელმწიფო იღებდეს არა ნაკლებ, არამედ მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, ვიდრე დღემდე. კოლმეურნეობები მზად არიან დამზადებათა წესით მიჰყიდონ სახელმწიფოს მარცვლეულის, ხორცისა და სხვა პროდუქტების ის რაოდენობა, რომელსაც ახლა ნატურანაზღაურების სახით აბარებენ.

სოფლის მშრომელებს წინადადება შემოაქვთ, რომ **სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო მიყიდვის გეგმა მათ უწესდებოდეთ არა ერთი წლით, როგორც ეს ამუამად ხდება, არამედ დაახლოებით ხუთი წლით. ასეთი წესი სტიმულს მისცემს კოლმეურნეობებს განავითარონ სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებიც ყველაზე ხელსაყრელია კოლმეურნეობისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც.**

სოფლის მეურნეობის ბევრ მუშაკს კანონიერად აფიქრებს ის საკითხები, რომ კოლმეურნეობები მომარაგებულ იქნან მათ მიერ შეძენილი ტექნიკის სათადარიგო ნაწილებით. ახლა სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაში დიდი შეფერხებაა. მაგალითად, რესპუბლიკაში ნახევარზე მეტი ავტომანქანები მომცდარია სათადარიგო ნაწილებისა და ავტოსაბურავების უქონლობის გამო. ამასთან დაკავშირებით საჭიროა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო სავგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სამინისტრომ შეიმუშაონ სათადარიგო ნაწილებით კოლმეურნეობების მომარაგების მოქნილი, ოპერატიულად მოქმედი სისტემა და მთელ ამ სამუშაოს თავი მოუყარონ ერთ ორგანიზაციაში. ამ მიმართულებით ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ სახალხო მეურნეობის საბჭოებს. მათ მნიშვნელოვნად უნდა გაადიდონ მანქანების რემონტისათვის საჭირო დეტალების გამოშვება არსებულ ქარხნებში; ამ დეტალების გამოშვების მოწყობა შეიძლება მტს-ების მთელი რიგი სახელოსნოების ბაზაზე შექმნილ სპეციალიზებულ მცირე საწარმოებშიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის შედეგებისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვის მიმდინარეობა მოწმობს მასების აქტივობის უმაგალითო აღმავლობას, მათს უნარს სახელმწიფოებრივად მიუდგნენ კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული საკითხების გადაჭრას. ახლა ყველასათვის გასაგებია, რომ ჩვენს პარტიას ხალხის განსახილველად გამოაქვს საკითხები, რომლებიც ეხება მთელი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან ინტერესებს, თვითეული საბჭოთა ადამიანის ინტერესებს. ეს მოწმობს ჩვენი პარტიის მჭიდრო და განუყრელ კავშირს მშრომელ მასებთან. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებას და ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს, რომლებიც სოციალისტურ სოფლის მეურნეობას ახალი მძლავრი აღმავლობის გზას უსახავენ.

მოხსენების თეზისების განხილვისადმი მიძღვნილ კრებებზე ბევრი ლაპარაკია გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაზე. და ეს სწორია. მტს-ების რეორგანიზაცია ქმნის პირობებს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უფრო ორგანიზებულად ჩატარებისათვის. მეტად დიდმნიშვნელოვანია უნარიანად გამოვიყენოთ ეს პირობები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეუძლიათ წარმატებით ჩაატარონ და კიდევაც უნდა ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, აგრეთვე საჭირო სამუშაოები ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში, კარგად შეინახონ პირუტყვი, რათა უზრუნველყონ მისი პროდუქტიულობის შემდგომი ზრდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის მიღებულ ვალდებულებათა შესრულება დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში.

(„პრავდა“, 9-III).

ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

გუშინ, 10 მარტს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილთან შეხვედრას.

სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბა ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივთა 1.500-ზე მეტი წარმომადგენელი. ესწრებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების გასაცნობად თბილისში ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ო. ნემსაძემ. შეასრულეს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

უდიდესი აღფრთოვანებით აიტაცეს საპატიო პრეზიდიუმში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს ს. დურმიშიძეს.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში, —თქვა მან,—საბჭოთა ადამიანების თვალი მიპყრობილია მათი ნაცადი ბელადის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც ამ არჩევნებში, ისევე როგორც წინათ, გამოდის უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან ბლოკით. უსაზღვრო საბჭოთა ხალხის ნდობა და სიყვარული თავისი პარტიისადმი, რომელმაც მსოფლიო ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვებინა მას.

ფართოდ გამოიყენეს რა სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებანი, საბჭოთა ადამიანებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან ხალხს, პარტიას, მთელ ძალებსა და უნარს ახმარენ სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას.

ნდობით აღჭურვილმა პირმა შეკრებილთ გააცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დ. ჯავახიშვილის ბიოგრაფია, დაახასიათა იგი როგორც კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის ღირსეული კანდიდატი და მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მისცენ მას.

თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშამ ა. კალუგინმა აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელები სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს ეგებებიან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული ახალი წარმატებებით. ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტს ეწევა, გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. 16 მარტს საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს და ამით გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი ზრუნვის შესახებ ილაპარაკა გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოს“ თავმჯდომარემ გ. აბუაშვილმა. ყველა საბჭოთა ადამიანი სავსებით იწონებს ღონისძიებებს, რომლებიც პარტიამ დასახა მტს-ების რეორგანიზაციისათვის და რომლებიც ხელს შეუწყობენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

ახალგაზრდა პოეტმა მ. ფოცხიშვილმა წაიკითხა თავისი ლექსი, მიძღვნილი დეპუტატობის კანდიდატებისადმი — ხალხის რჩეულებისადმი.

— დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრა ამომრჩევლებთან, — თქვა თავის სიტყვაში დიასახლისმა გ. შარაძენიძემ, — გვიჩვენებს კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის დიად სასიცოცხლო ძალას. არჩევნების დღეს — 16 მარტს ჩვენ ერთსულოვნად მივცემთ ხმას გმირი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის უკეთესთაგან უკეთეს წარმომადგენლებს.

თბილისის 92-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ა. სისაკიანმა აღნიშნა, რომ ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში განათლების, კულტურის საქმე უმაღლესი სიმაღლეზეა. პარტია და მთავრობა განუწყვეტელივ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების საჭიროებისათვის, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ამაღელვებელი იყო თბილისის 65-ე საშუალო სკოლის მოსწავლის ნანული ბაღათურიას და თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლის პიონერ ნინო იზაშვილის გამოსვლები, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაუხადეს პარტიას ახალგაზრდობაზე, ბავშვებზე მამობრივი ზრუნვისათვის.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა გ. დ. ჯავახიშვილმა. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს მაღალი ნდობისათვის და თქვა, რომ ყოველ ღონეს იხმარს ამ ნდობის გასამართლებლად.

(საქდისი).

• • •

ბ ა თ უ მ ი. (საკ. კორ.). სახელმწიფო თეატრში თავი მოიყარეს ქ. ბათუმის მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანებმა, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, დიასახლისებმა, რათა შეხვედროდნენ დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ფატუშა დავითის ასულ დუმბაძეს.

შეხვედრა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის № 132 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ა. გვარიშვილმა.

სიტყვას ამბობს ნდობით აღჭურვილი პირი ა. შონია.

— ჩვენი სამშობლო, — ამბობს იგი, — მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმისაკენ. მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც გმირმა საბჭოთა ხალხმა მოიპოვა, შედეგია მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობისა. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხალხს, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს ასე უსაზღვროდ უყვარს კომუნისტური პარტია.

შემდეგ იგი დამსწრეთ აცნობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ფ. დუმბაძის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს და ყველა ამომრჩეველს მოუწოდებს 16 მარტს ერთსულოვნად მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან და ხმა მისცენ ჩვენი სამშობლოს ერთგულ შვილებს, კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ ნდობით აღჭურვილი პირი ს. დოვგიალო, ამომრჩეველები დ. სობოლევი, ა. წულაძე, დასახლისი ა. მეძმარიაშვილი, ახალგაზრდა ამომრჩეველი მოსწავლე ცისანა მჟავია, რომლებმაც ამხ. ფ. დუმბაძე დაახასიათეს, როგორც დეპუტატობის ღირსეული კანდიდატი.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა დეპუტატობის კანდიდატმა ამხ. ფ. დუმბაძემ, რომელმაც უღრმესი მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს დიდი ნდობისათვის და პირობა დადო, რომ მთელი ენერგიით იბრძოლებს ამ ნდობის გასამართლებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ფ. დ. დუმბაძე ამომრჩეველებს შეხვდა ავრეთვე სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლეში.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიაში

გუშინ, 10 მარტს, გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა.

რესპუბლიკურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. მოსმენილ იქნა ტყვიავის № 28 საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. ჩხეიძის მოხსენება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ამ საარჩევნო უბანში. მან ილაპარაკა შესრულებულ მოსამზადებელ მუშაობაზე. მომავალი არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადება აქ ძირითადად დამთავრებულია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საagიტაციო-მასობრივ მუშაობას. გამოკრულია ამომრჩეველთა სიები, გაჩაღდა აgიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ.

ამხ. ჩხეიძე ლაპარაკობს იმაზე, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს ამომრჩეველთა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, იმაზე, თუ რა აღფრთოვანებით შეხვდნენ სოფლის მშრომელნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ. ილაპარაკა გარეუბნის რაიონის „საბჭოთა საქართველოს“ თავმჯდომარემ გ. აბუაშვილმა. ყველა საბჭოთა ადამიანი სავსებით იწონებს ღონისძიებებს, რომლებიც პარტიამ დასახა მტს-ების რეორგანიზაციისათვის და რომლებიც ხელს შეუწყობენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

ამაღელვებელი იყო თბილისის 65-ე საშუალო სკოლის მოსწავლის ნანული ბაღათურიას და თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლის პიონერ ნინო იზაშვილის გამოსვლები, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაუხადეს პარტიას ახალგაზრდობაზე, ბავშვებზე მამობრივი ზრუნვისათვის.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა გ. დ. ჯავახიშვილმა. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს ხმა მისცეს მას.

კოლმეურნეობებს სახელოსნოებს მოუწყობენ

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებამ და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“.

მარტენის საამქროს ხალხმრავალ კრებაზე გულდასმით განიხილეს თებერვლის პლენუმის დადგენილება და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები.

საამქროს საერთო კრებამ ერთხმად მოიწონა მშობლიური კომუნისტური პარტიის ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი. გადაწყდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კოლმეურნეობების ხელში გადასვლასთან დაკავშირებით მომდინარე რემონტისათვის სახელოსნო მოუწყონ საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის კოლმეურნეობას, ¡

სარემონტო-მექანიკური და ელექტროშემკეთებელი საამქროების კოლექტივებმა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე გადაწყვიტეს სახელოსნო მოუწყონ გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაღლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, დაუმზადონ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილები და ხისტემატურად დაეხმარონ შესაფერ ტრაქტორებისა და კომბაინების მიმდინარე რემონტის ჩატარებაში.

მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა მოუწოდა რუსთავის საწარმოებს მათი მაგალითისამებრ მეზობელი რაიონის კოლმეურნეობებს მოუწყონ სახელოსნოები, დაუმზადონ სათადარიგო ნაწილები და დაეხმარონ მიმდინარე რემონტის ჩატარებაში.

გ. მგალობლიშვილი,
ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიაში

გუშინ, 10 მარტს, გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა.

რესპუბლიკურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. მოსმენილ იქნა ტყვიავის № 28 საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. ჩხეიძის მოხსენება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ამ საარჩევნო უბანში. მან ილაპარაკა შესრულებულ მოსამზადებელ მუშაობაზე. მომავალი არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადება აქ ძირითადად დამთავრებულია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საagიტაციო-მასობრივ მუშაობას. გამოკრულია ამომრჩეველთა სიები, გაჩაღდა

დეპუტატი ხალხის მსახურია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესანიშნავ ...

დეპუტატი ხალხის მსახურია— ასე ამბობენ საბჭოთა ადამიანები, ასე ესმით მათ საბჭოებში თავიანთ წარგზავნილთა საპატიო მოწოდება. დღევანდელი გვერდის მასალებში მოთხრობილია იმაზე, თუ როგორ მუშაობენ დეპუტატები ამომრჩეველთა განაწესის შესრულებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

ახლოვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — 16 მარტი. საბჭოთა ადამიანები ამ დღისათვის ემზადებიან, როგორც დიდი სახალხო დღესასწაულისათვის. ისინი ხმას მისცემენ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს, რომლებიც გაამართლებენ ხალხის მსახურის დიდ მოვალეობას.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲘ

დეპუტატის ოთახი. ასე ეწოდება თბილისის ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში მოთავსებულ ერთ-ერთ ოთახს. აქ ყოველდღიურად ჩქეფს დეპუტატების საინტერესო, მრავალმხრივი მუშაობა. მეექვსე მოწვევის საბჭოს 194 დეპუტატიდან 186 გაერთიანებულია საბჭოსთან არსებულ 10 მუდმივ კომისიაში.

ამ ოთახში მუდმივი კომისიის წევრები აწყობენ სხდომებს, განიხილავენ რაიონის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, ამომრჩეველთა მიერ წამოყენებულ განაწესსა და კრიტიკულ შენიშვნებს. აქვე ეწყობა დეპუტატთა შეხვედრები თავიანთ ამომრჩევლებთან.

გასული წლის დეკემბერში მოქალაქე გ. სულაძემ, რომელიც ბინის სივიწროვეს განიცდიდა, თხოვნით მიმართა დეპუტატ ი. ზერეკიძეს დახმარება აღმოეჩინა მისთვის. დეპუტატმა უყურადღებოდ არ დატოვა ეს თხოვნა: დაუყოვნებლივ დააყენა საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე. გ. სულაძის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, მან ბინა მიიღო.

თითქმის ყოველდღე ხვდებიან თავიანთ ამომრჩევლებს დეპუტატები ე. ლეჟავა, ჰ. ზუბრიცკი, ი. ტაბატაძე, ე. ბარათაშვილი, ე. გოდერძიშვილი, ი. ანდრიასოვი, გ. ცაბულოვი და სხვ. ისინი დიდ მზრუნველობას იჩენენ ამომრჩევლებისადმი, ყოველთვის ხათანადო დახმარებას უწევენ მათ.

ნ. ინაშვილი,

თბილისის ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი.

ᲩᲔᲛᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

რუსთავში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე უკანასკნელ ორ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა. აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლა, საბავშვო ბაღი და ბაგა, აქ არის სასურსათო და სამრეწველო მაღაზიები, ფოსტა...

ერთი შეხედვით ქალაქის ამ ახალ უბანში თითქმის ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ ბევრი რამ, რაც ადამიანისათვის პირველ მოთხოვნილებას წარმოადგენს, მოუგვარებელი იყო. საარჩევნო ოლქში, სადაც მე შარშან რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს, უმთავრესად მეტალურგიული, აზოტოვანი სასუქებისა და ცემენტის ქარხნების მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობენ. ეს საწარმოები ამ ახალ კვარტალებს დიდი მანძილით არის დაშორებული. შარშან რამდენიმე ავტობუსი მოძრაობდა, რაც ვერ უზრუნველყოფდა მგზავრთა დროულად გადაყვანას. ჩემი ოლქის ამომრჩევლებმა მთხოვეს ეს საკითხი საქალაქო საბჭოს აღმასკომის მსჯელობის საგანი გამეხადა. საქმეს მთელი სერიოზულობით მივუდექი, შევისწავლე და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჩარევის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ახლა ამ უბანში ავტობუსი რეგულარულად მოძრაობს.

ზამთრის დადგომისას ჩემთან ამომრჩევლები მოვიდნენ და მითხრეს, რომ საცხოვრებელი ბინები არ თბებოდა. ეს საკითხიც შევისწავლე და ზომები მივიღე. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ქუჩებისა და ეზოების გამწვანების სამუშაოებიც დავაჩქარებინე.

ჩემი ამომრჩევლები მოკლებული იყვნენ კინომომსახურებას, შორს უხდებოდათ სიარული კინოფილმის საყურებლად. ამ საქმის მოგვარება შეიძლებოდა. მე-12 საშუალო სკოლას აქვს კლუბი 150 მაყურებლისათვის. გადავწყვიტეთ მისი გამოყენება კინოფილმების საჩვენებლად, გავაკეთეთ კინოკამერა, დავდგით კინოპავილიონი. ახლა თითქმის ყოველდღე იმართება კინოსეანსები. მალე ჩვენ საკუთარი ახალი კინოთეატრი გვექნება.

ჩვენი ახალი უბნის მცხოვრებლები ჯერჯერობით საკმაო სასმელი წყლითაც არ არიან უზრუნველყოფილი, ხშირად არ არის ელექტროგანათება ბინებში და ქუჩებში. ეს საკითხი მოკლე ხანში მოგვარდება.

სწრაფი ტემპით შენდება ქალაქის ეს ახალი უბანი. გენერალური გეგმით გათვალისწინებულია უახლოეს ორ-სამ წელიწადში აშენდეს საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი ხუთასი ათასი კვადრატული მეტრი იქნება, აიგება კინოთეატრები, სკოლები, საავადმყოფო, აბანო, გაიხსნება მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი და სხვ. კეთილმოწყობილი გახდება ქუჩები და საცხოვრებელი ბინები.

თინა სუთიძე,

რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

• • •

სურათზე: რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატი თ. სუთიძე ესაუბრება ამომრჩევლებს.

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთის სოფელი ფასანაური კეთილმოწყობილ დაბას დაემსგავსა. სოფელს ახლა აქვს საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა, ორი კლუბი, საავადმყოფო, აფთიაქი, მაღაზიები და სხვა დაწესებულებები. ფასანაურში არის ელექტროგანათება, რადიოკვანძი, ტურისტთა ბაზა.

წლითიწლობით უფრო ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ფასანაური. ამაში მცირე წვლილი როდი შეაქვთ სასოფლო საბჭოს დეპუტატებს და აქტივს, რომლებსაც უყვართ ჩვენი სოფელი და ყველაფერს აკეთებენ მისი შემდგომი გამშვენიერებისათვის.

...დაუდეგარია მდინარე არაგვი, განსაკუთრებით საშიშია იგი გაზაფხულობით — თოვლის დნობისა და წვიმების დროს. ღვართქაფად ქცეულ მდინარეს შეუძლია წალეკოს ფასანაური. დეპუტატებმა ნ. ღვაბერიძემ და რ. მელიქიშვილმა იზრუნეს ჯებირის აგებისათვის, ამ საქმეში ფართოდ ჩაბეს მოსახლეობა, მოსწავლეები. ახლა, ჯებირის გაკეთების შემდეგ, წყალდიდობის საშიშროება ლიკვიდირებულია.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა სოფელ ცხვედიდის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. აფციაურმა, რომელმაც საბჭოს სესიაზე დააყენა საკითხი ფასანაურიდან ცხვედიდამდე საავტომობილო გზის გაყვანის შესახებ. გ. აფციაურის თაოსნობით მდინარე არაგვზე შეკეთდა ხიდი, აშენდა ჯებირი.

გარდა ამისა, დეპუტატებისა და სოფლის აქტივის დახმარებით სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და ბიბლიოთეკის შენობას გაუკეთდა კაპიტალური რემონტი. მარტო შარშან ფასანაურის ქუჩებში დაირგო 2 ათასი მარადმწვანე მცენარე.

მახარაძის რაიონის მშრომელთა მაგალითისამებრ ჩვენ დავსახეთ სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ხამწლიანი გეგმა, რომლის განხორციელებასაც დეპუტატებისა და სოფლის აქტივის დახმარებით მალე შევუდგებით.

ადგილობრივ ინტელიგენციასთან ერთად დეპუტატები აქტიურად მონაწილეობენ სოფლის კულტურულ ცხოვრებაში. სოფლის კლუბში ხშირად იმართება კინოსეანსები და კონცერტები. ახლა ჩვენთან გაჩაღებულია მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, ლამაზად გაფორმებულ აგიტპუნქტში ყოველდღე იმართება საუბრები და მოხსენებები საინტერესო საკითხებზე.

ვლ. მეზვრიშვილი,

დუშეთის რაიონის ფასანაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲢᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ

მასპინძელი საშუალოზე მაღალი ტანის, მიმზიდველი სახის ქალია. შინ გულღიად გვეპატიჟება. მის ბეჯით შრომაზე ბევრი რამ გვქონდა მოსმენილი. თავის საქმიანობაზე ლაპარაკში ძუნწობს, სხვაზე კი ხალისიანად ჰყვება.

მან კარგად იცის, რა არის პური სახელმწიფოსათვის, რამდენად უნდა გაიზარდოს მოსავალი მეექვსე ხუთწლედში. იგი დარწმუნებულია, რომ მისი შრომა სასარგებლოა, იძლევა პროდუქციას, რომელიც ასე ძალიან სჭირდება ჩვენს სამშობლოს, მშვიდობიან შრომას, მშენებლობას, სოციალისტურ მრეწველობას, სოფლის მეურნეობას. ამიტომ არის, რომ იგი ენერგიას არ იშურებს და მთელ ძალღონეს ამ დიდ საქმეს ახმარს.

ელენე ნატროშვილი ტრაქტორის საჭეს მაშინ მიუჯდა, როცა სამშობლოს ყველაზე მეტად უჭირდა, როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო. იგი მინდორში ათენებდა და აღამებდა. იმისათვის იღწვოდა, რომ მეტი მოსავალი მიეღო, რათა ფრონტზე წასული ვაჟკაცებისათვის ხელი შეეწყო. ელენემ ეს რთული პროფესია 1939 წელს გურჯაანში სატრაქტორო კურსებზე შეისწავლა, შეძლო მამაკაცების გვერდში ამოდგომა, იგი ნამდვილ შრომითს სიმამაცეს იჩენდა, რისთვისაც მისი სახელი თანდათან დიდებით იმოსებოდა. მადლიერმა ხალხმა დაიფასა მისი დიდი ამაგი. იგი სამჯერ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დეპუტატი აქტიურ საკოლმეურნეო შრომაშია ჩაბმული. იგი შირაქის ველზე, ტიბაანის საკოლმეურნეო მინდვრებზე ერთნაირი ხალისით მუშაობს ხვნა-თესვაზე, მოსავლის აღებაზე. ეს ჭაღარა ქალი ყოველივე ახლის ინიციატორია, ზრდის ახალგაზრდა კადრებს, გადასცემს თავის გამოცდილებას.

ელენე ნატროშვილი მომზადებული შეხვდა საგაზაფხულო თესვას. ყოველთვის იცის, ხვალ სად რა სამუშაოა შესასრულებელი, რომელი უფრო სასწრაფოა. საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობის გარდა რამდენი საფიქრელი და საზრუნავი აქვს — იგი ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის წევრია, უმაღლესი საბჭოს სესიებზე სხვა დეპუტატებთან ერთად იღებს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, აყენებს საჭირბოროტო საკითხებს. მშრომელები მას უმადლიან რაიონის ცენტრში მუსიკალური სკოლის გახსნას.

ელენე ნატროშვილი ამომრჩევლებს ხვდება და ყურადღებით უსმენს მათ კოლმეურნეობის კანტორაში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, თუ თავის სახლში. მათ კი რანაირი საქმე არა აქვთ თავიანთ დეპუტატთან! სოფელს ესაჭიროება საბავშვო ბაღი, აბანო, ყველა უბანში არ არის მიყვანილი წყალი, საშუალო სკოლაც შეუფერებელ შენობაშია. ელენე უსმენს ამომრჩევლებს, იწერს მათს შენიშვნებს რვეულში, ხოლო შემდეგ ამ საკითხებზე ესაუბრება სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, აყენებს საკითხს სასოფლო საბჭოს სესიაზე. მისი ინიციატივით შეკეთდა სასოფლო გზები, ამბულატორიის შენობა, ახლო ხანში გედიქედან დაიწყება წყლის გამოყვანა, რაც 1959 წელს დამთავრდება. ამ საქმეზე 2 მილიონამდე მანეთი დაიხარჯება.

ელენე ოჯახშიც მოუსვენრობს — მუშაობს ვენახში, ბოსტანში, ქსოვს, ართავს, ხოლო საღამოობით მიუჯდება მაგიდას და კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს, ერთობა შვილიშვილებთან.

ხშირად დეპუტატს სახლში ხვდება წერილები. სწერენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, სთხოვენ რჩევას. აი ერთი წერილი. მასში დედა სწუხს თავის ბიჭუნაზე, რომელიც ცუდად სწავლობს და დეპუტატს სთხოვს დარიგებას, როგორ შეაყვაროს შრომა. ელენე ფიქრობს ამ უცნობ ბავშვზე... გულისხმიერად ეკიდება ყველა წერილს.

ელენე ნატროშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ორჯერ იყო მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. კარგი მუშაობისათვის 1946 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, აქვს მედალი „შრომითი მამაცობისათვის“, წარჩინებული ტრაქტორისტის ნიშანი, ფასიანი საკითხებს. ...

სურათებზე: ზემოთ — ელენე ნატროშვილი ტრაქტორის საჭესთან; მარცხნივ — ელენე ამეცადინებს თავის შვილიშვილს პატარა ელენეს.

ფოტო ე. ხალდერიანისა.

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

45 წელია ვემსახურები მოზარდი თაობის აღზრდის კეთილმობილურ საქმეს. მასწავლებლის, საბჭოთა ბავშვების აღმზრდელის პროფესია ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო პატივისცემით არის გარემოსილი. ეს ნათლად ჩანს თუნდაც ჩემი ცხოვრების მაგალითზე. მე, უპარტიო მასწავლებელი, დაჯილდოებული ვარ ლენინის ორდენით, მონიჭებული მაქვს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ხოლო ქუთაისის მშრომელებმა მეორედ ამირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დეპუტატი ხალხის მსახურია და იგი მთელ თავის მოღვაწეობაში უნდა ზრუნავდეს ხალხის, ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად. ვითვალისწინებ რა ამას, ამომრჩევლებთან ყოველდღიური კავშირი და საქმიანი ურთიერთობა მაქვს. ისინი ბევრ საგულისხმო და ძვირფას წინადადებას აყენებენ. გულდასმით ვსწავლობ მათს წინადადებებსა და მოთხოვნებს, ჩემი მხრივ საკითხის სათანადო ორგანოებში დაყენებით ვაღწევ განაწესის პრაქტიკულად განხორციელებას.

ლერმონტოვის, პუშკინისა და ტელმანის ქუჩებზე მცხოვრებ ამომრჩეველთა მოთხოვნით შეკეთებულ იქნა ამ ქუჩების დაზიანებული ქვაფენილები. ლერმონტოვის ქუჩის შესახვევში მცხოვრები ამომრჩევლები მოითხოვდნენ მათ ბინებამდე წყალსადენის ქსელის მიყვანას. ეს საკითხი დროულად იქნა მოგვარებული. პუშკინის ქუჩაზე მცხოვრებ მოქ. შარიქაძის ბინა ავარიულ მდგომარეობაში იყო. საქმეში ჩემი ჩარევის შედეგად აღნიშნული ბინა სასწრაფოდ იქნა შეკეთებული. 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. კობახიძე და ამავე სკოლის ლაბორანტი მ. მანაგაძე ჩემი დახმარებით შესახლდნენ ახალ, კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ბინებში. სტალინის ქუჩაზე, წულუკიძის სახელობის პარკის უბანში, მოუგვარებელი იყო პურით ვაჭრობის საქმე. პურის საყიდლად შორ მანძილზე სიარული იყო საჭირო. საკითხი საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების წინაშე დავაყენე, ახლა ამ უბნის ორ სასურსათო მაღაზიაში მოეწყო პურით ვაჭრობა.

ამომრჩევლებს ხშირად ვხვდები. რამდენჯერმე გამოვედი მათ წინაშე ჩემი საქმიანობის ანგარიშით. ამ დღეებში ორჯერ გამოვედი ამომრჩევლებთან და ვესაუბრე მათ საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის შედეგებზე.

ასეთი მაგალითები ჩემი, როგორც დეპუტატის, მოღვაწეობაში იშვიათი როდია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ბევრი საზრუნავი, ბევრი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი, რათა სრულად დავაკმაყოფილოთ ამომრჩეველთა მოთხოვნები, მთლიანად შევასრულოთ მათი განაწესი.

როგორც ფიზიკის მასწავლებელი, ძალასა და ენერგიას არ დავზოგავ, რათა ჩავუნერგო ბავშვებს შრომისადმი სიყვარული, მაღალ დონეზე დავაყენო პოლიტექნიკური სწავლება. კვლავ თავდადებით ვიმუშავებ იმისათვის, რომ მოსწავლეებს გამოვუმუშაო კომუნიზმის მომავალ მშენებლთა საუკეთესო თვისებები.

ახლა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქუთაისის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ ყველა ამომრჩეველისადმი ქალაქის მშრომელთა შორის მძლავრი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია.

კომუნისტური პარტია, როგორც წარსულ არჩევნებში, ამ საარჩევნო კამპანიაშიც გამოდის უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან ბლოკით. არჩევნების დღეს ჩვენი ქალაქის მშრომელები ერთსულოვნად გამოცხადდებიან საარჩევნო უბნებთან და ხმას მისცემენ ამ ურღვევი სახალხო ბლოკის კანდიდატებს.

ნინო ხათრიძე,

ქუთაისის ვ. მაიაკოვსკის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲒᲐᲜᲐᲬᲔᲡᲘ—ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ

საბჭოების მხრივ მასებთან კავშირისა და თვით საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დეპუტატთა ანგარიშებს, შეხვედრებს თავიანთ ამომრჩეველებთან.

უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ საგრძნობლად გაუმჯობესეს მუშაობა სამტრედიის რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების დეპუტატებმა. ახლა დეპუტატები უფრო ხშირად ხვდებიან ამომრჩეველებს, აბარებენ ანგარიშებს აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობისა და თავიანთი მოღვაწეობის შესახებ, მიღწეულია ამომრჩეველთა განაწესების შესრულება. გასულ წელს რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების თითქმის ყველა დეპუტატმა ჩააბარა ანგარიში ამომრჩეველებს.

ოფეთის სასოფლო საბჭოს დეპუტატი ვ. გოგიშვილი გასულ წელს ანგარიშით გამოვიდა თავისი ამომრჩეველების წინაშე. ამომრჩეველებმა მკაცრად გააკრიტიკეს დეპუტატისა და სასოფლო საბჭოს საქმიანობა, აღნიშნეს, რომ ისინი ნაკლებ მზრუნველობას იჩენენ სოფლის მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. კერძოდ, მოითხოვეს რადიოსატრანსლაციო ხაზის გაყვანა. დეპუტატმა გულდასმით შეისწავლა სოფელში რადიოსატრანსლაციო ხაზის გაყვანის შესაძლებლობა. თავისი წინადადებები წარუდგინა სასოფლო საბჭოს აღმასკომს. ამ უკანასკნელმა კი საკითხი დააყენა რაიონული საბჭოს ბევრი დეპუტატის საქმიანობა. მაგალითად, გომის სასოფლო აფთიაქი შეუფერებელ ბინაში იყო მოთავსებული. ამაზე ილაპარაკეს ამომრჩეველმა თავიანთ დეპუტატ ვ. თევზაძესთან შეხვედრისას, როცა იგი მათ წინაშე ანგარიშით წარსდგა. დეპუტატმა სოფლის ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად აღნიშნული საკითხი შეისწავლა. ბინა გამონახეს, აფთიაქი საავადმყოფოს გამოუყენებელ პირველ სართულში მოათავსეს.

რაიონულ საავადმყოფოსთან ვ. სტურუას ქუჩით მისასვლელი გზა უვარგისი იყო. წვიმების დროს ტბორი დგებოდა. ამომრჩევლებმა ანგარიშის მოსმენისას ამის შესახებ უსაყვედურეს თავიანთ დეპუტატს ჟ. კოპალეიშვილს. დეპუტატმა ამომრჩეველთა კრიტიკული შენიშვნა გაითვალისწინა, ქუჩის კეთილმოწყობის საკითხი რაიაღმასკომის მსჯელობის საგანი გახადა. ამომრჩეველთა მოთხოვნილება დააკმაყოფილეს — ქუჩაზე ასფალტი დააგეს.

ამომრჩევლებისაგან მიღებული განაწესების შესრულებას მზრუნველობით ეკიდებიან რაიონული საბჭოს დეპუტატები ქეთევან სტურუა, ლ. ახობაძე. ამ უკანასკნელმა ცოტა დრო და ენერგია როდი დახარჯა იმისათვის, რომ ამომრჩევლების განაწესი შეესრულებინა. მისი თაოსნობით მელაურის სასოფლო საბჭოს ნინოშვილის უბანში 0,5 კრძივი კილომეტრი სასოფლო გზა მოიკირწყლა.

ამომრჩეველთა წინაშე დეპუტატების ანგარიშგება სოციალისტური დემოკრატიზმის შესანიშნავი გამოხატულებაა. მაგრამ ყველა დეპუტატი როდი ითვალისწინებს ამას. ამომრჩეველთა განაწესს ზოგჯერ უყურადღებოდ ტოვებენ ან მათი განხორციელებისათვის არ ზრუნავენ. ასე მოუვიდათ რაიონული საბჭოს დეპუტატებს შ. სტურუას და გ. კალაძეს. მაგალითად, გ. კალაძეს ამომრჩევლებმა სთხოვეს ეზრუნა სოფელ მიწაბოგირის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მისასვლელი გზის შეკეთებისათვის. მაგრამ დეპუტატი ამომრჩეველთა თაოსნობას სათავეში არ ჩაუდგა, მაშინ როცა თვითონ იგი ამ ფერმის გამგეა.

დეპუტატი ხალხის მსახურია, იგი ვალდებულია ანგარიშს უწევდეს ამომრჩეველთა მოთხოვნილებებს.

ვ. კოპალეიშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ინდური შთაბეჭდილებანი

მარიკა ბარათაშვილი

„ღმერთი ერთია, ოღონდ ყველას შეუძლია წარმოიდგინოს იგი ისე, როგორც სურს“, — ამბობენ ინდოელები, და მართლაც ინდოელთა ფანტაზიას შეუქმნია უამრავი ღმერთი, მაგრამ შემდეგ თვითონვე დამონებია თავისი მდიდარი ფანტაზიის ნაყოფს.

ბევრი რამ არის ინდოეთის ცხოვრებაში საიდუმლოებით მოცული, გასაოცარი... ამ საიდუმლოების მიახლოებითი ამოხსნის გასაღები სამლოცველებსა, ტაძრებსა და გამოქვაბულებში უნდა ეძიოთ.

აჯანტისა და ელორის გამოქვაბულები ჩვენს ვარძიის მოგვაგონებენ, მაგრამ თუ ვარძიას თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენციისა და ხალხის სამალავის დანიშნულება ჰქონდა, ინდოელებს ეს ბრწყინვალე სასახლე-გამოქვაბულები თავიანთი უამრავი ღმერთებისთვის გამოუკვეთიათ.

საბჭოთა დელეგაციამ გვირგვინით შეამკო განდის საფლავი.

როგორც ელორისა და აჯანტის, ისე სპილოების გამოქვაბულები ბომბეის მახლობლად, მახბული პურამის ტაძრები — მთლიანი უზარმაზარი ქვებისაგან გამოკვეთილი 5 ბალდახინი და ღმერთ კრიშნას ტაძარი, — ინდოეთის უძველესი კულტურის მთელი ისტორია და უმაღლესი ხელოვნების მატიანეა. მათი ფრესკების, ბარელიეფების, ჯგუფური ქანდაკებების მეშვეობით ჩვენ ვეცნობოდით ინდოელი ხალხის ცხოვრებას, ხალხისა, რომელსაც თავისი მეფეებისა, სიხარული, შიში, იმედი, გულისწყრომა თუ ოცნება ამ ფრესკებისა და ქანდაკებების მეშვეობით გამოუმეღავნებია.

და ვინ იცის რამდენი ისტორია და ხალხის რამდენი ტკივილი, ან ოცნება ინახება ყოველი გამოქვაბულისა და სამლოცველოს კედლებს შორის.

ყველა ეს ისტორია ადამიანის ხელს ნარნარი არშიებით დაუქსოვია ქვისაგან, მარმარილოსაგან, ბრინჯაოსაგან, ხისაგან, ოქროსაგან, ვერცხლისაგან.

ჩვენ ვნახეთ კაპოლიშვერარის განთქმული 2000 წლოვანი ტაძარი მადრასში. ამ ტაძრის შვიდივე, გადაკვეთილი ბრამიდების სტილის შენობის გარე კედლები მთლიანად თეთრი, ცისფერი და ვარდისფერი, ნატიფად მოოქროვილი ქანდაკებებით არის შემკობილი.

სპეციალური ნებართვით, ფეხშიშვლები შევედით ტაძრის დასათვალიერებლად. კართან „ღმერთ შივას შვილობილი“ — ჩასუქებული მღვდელი შეგვეგება. ლანგარზე რაღაც სურნელოვანი იწოვდა. ტაძარში შემავალნი ყნოსავდნენ იმ სურნელებას და მის მურს შუბლზე ისვამდნენ. ღვთის მსახურებმა გირლანდებით მოგვრთეს და მოგვითხრეს რამდენიმე მითი ამ ტაძარში მომხდარი „სასწაულებიდან“

ასევე ფეხშიშვლები ვეახლეთ „წმიდა“ ფრინველებსაც. ეს ტაძარი მადრასიდან რამდენიმე კილომეტრზეა, — მთის თავზე, სადაც მაღალი კიბით ადიხართ. ზოგი მნახველი ან მლოცველი მცირე საფასურად ხელითაც ამყავთ რიქშებს. წმიდა ფრინველები — 2 ყვითელი ქორი — ხალხის რწმენებით 500 წლისანი არიან და ამდენივე ხანია, რაც დილის 11-სა და 12 საათს შუა ამ ტაძარში სადილად მოფრინდებიან ხოლმე. ამ დროსთვის მათ მსახურს — თეთრად შემოსილ მღვდელს გამოაქვს გორაკზე თითბრის სინები და თუნგები და მათზე ატეხილი რახარუხით ეპატიჟება „ღვთიურ სტუმრებს“. ჩვენ იმ ქორებს კვირადღეს ვეახელით. ახლო-მახლო გორაკები ხალხით იყო მოფენილი. და მართალია, მოწმენი გავხდით იმ ქორების გამოქვაბულიდან გამობრძანებისა, მაგრამ ჩვენს იქ ყოფნაში ფრინველები ტაძარს არ მოეკარნენ. შეიძლება „ურწმუნოების“ წამოსვლის შემდეგ მიბრძანდნენ სადარბაზოდ?

დაფიქრებულები ვეშვებოდით კიბეებზე... ზემოდან ისმოდა სინების რახარუხი და იქით მიისწრაფოდა ხალხი, რომელსაც ხელგაშვერილი მათხოვრები მიღნაოდნენ უკან.

ვიგონებ იმ ტაძრებს, სამლოცველოებს, გამოქვაბულებს, ლოცვის ექსტაზში შესულ, თვალთნებულ, თმამოშვებულ, შუბლ და გულმკერდდახატულ ფანატიკოს მსახურებსა და მლოცველებს და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ის ადამიანები, შორეულ საუკუნეებში თავის მიერ შექმნილ ღმერთებთან გაყინულან...

დიდი კულტურული წარსულის სულით, რელიგიური მისტიციზმით და მითოლოგიით არის გაჟღენთილი დღევანდელი ინდოეთის ხელოვნებაც: თეატრალური, ქორეოგრაფიული, მუსიკალური, ვოკალური, ფერწერითი, სკულპტურული.

თანამედროვე მხატვრების იმ ნამუშევრებში, რომლებიც ჩვენ გვხვდებოდა, სჭარბობდა ულტრათანამედროვე — დასავლეთევროპული სტილი, გვხვდებოდა რეალისტური ნაწარმოებნიც და გემოვნებით შესრულებული ინდოეთის ბუნების პეიზაჟები, მეტად ცოცხალ, წარმტაც ფერებში. ვნახეთ მოქანდაკე ჩაუდჰურის ქანდაკებები „შიმშილის მსხვერპლნი“ და „როდესაც დგება ზამთარი“ — შესანიშნავნი ღრმა რეალიზმით და შესრულების ოსტატობით.

ყველაზე მეტი განვითარება ინდოეთში მოქანდაკეობას და კინოხელოვნებას აქვს. ჰაიდარაბადის შესანიშნავ ჯამრთელობის მუზეუმშიც კი, სხვადასხვა დაავადებების, მათი პროფილაქტიკისა და მკურნალობის ჩვენებისას, ფართოდ არის გამოყენებული მოქანდაკეობა. რაც შეეხება კინოხელოვნებას, მართალია იგი ყველაზე რეალისტურია, მაგრამ ფილმების უმეტესობა გაჟღენთილია განდის ფილოსოფიით „არა ხელპყო ბორტეულს“ და ჰოლივუდის გავლენაც საკმაოდ ემჩნევათ.

მაგალითად, ჩვენ ვნახეთ ფილმი „ინდოეთის დედა“, სადაც დედა კლავს შვილს იმისთვის, რომ შვილმა ხელი აღმართა მეგობარზე, რომელმაც მათი ოჯახი დაარბია და ოჯახის მამა იმსხვერპლა.

ჩვენ მიერ ნახული თეატრალური წარმოდგენების უმეტესობა სიუჟეტიანი ცეკვები — საღვთისმეტყველო და მითოლოგიური ხასიათისა იყო, მათ დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა, ხალხი ჭილობებზე ფეხმორთხმით ისხდა.

არ შეიძლება მაყურებელი არ მოხიბლოს ინდოელი ქალის ცეკვამ. ცეკვა სრულდება ეროვნული საკრავებისა და რომელიმე მემუსიკის სიმღერის ფონზე, რასაც ხშირად მოცეკვავეც აყოლებს ხმას, — უფრო კი შიშველ წვივებზე მიბაგრებული ეჟვნების ჟღარუნს. შიშველი ტერფები მოცეკვავეს წითლად აქვს შემოხატული. იგი უზომოდ პლასტიურია— სხეულის ყოველი ნაწილი იღებს მონაწილეობას ცეკვაში.

ასევე მოგვხიბლა ინდოელების სტუმრის მიღების დიდმა კულტურამ. მაგონდება ერთ-ერთი ასეთი მიღება კარნალაკის მუსიკის ცენტრალურ კოლეჯში, მადრასში. ეს კოლეჯი ადგილობრივი მუსიკის ტრადიციების აღდგენის საქმეს ემსახურება.

მარმარილოს იატაკზე შემოხატული, ვარდებშემოწყობილი წრის ირგვლივ ანთებული კანდელები იყო შემორიგებული, წრეში ეწერა „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ — აქეთ-იქით ჩამწკრივებულიყვნენ პროფესორები და სტუდენტები. ერთ მხარეს მდგომ ქალიშვილს ნელსაცხებლიანი ფიალა ეჭირა ხელში და შიგ თითებს გვასველებინებდა. მეორე მხარეს მდგომი ქალიშვილი რაღაც კეთილსურნელებას გვაფრქვევდა, მესამემ თმაში ყვავილების წნული გაგვიკეთა, მეოთხემ ვარდების გირლანდებით მოგვრთო... მეტად თავისებური იყო კონცერტიც. შემსრულებლები, — მომღერლები და მესაკრავენი სცენაზე მორთხმით ისხდნენ. ცალი ხელით უკრავდნენ, მეორე ხელის მუხლზე ცემით სხვადასხვა ხმას გამოსცემდნენ. დარბაზში მსხდომნიც (ნაწილი სკამებზე, ნაწილი იატაკზე), იმავე ტაქტს იმეორებდნენ... და ივსებოდა დარბაზი მუსიკისა და სიმღერის ჰანგებთან ერთად უცნაური აკომპანემენტით და რაღაც კეთილსურნელებით, რომელსაც კონცერტის დროს აკმეევდნენ. ერთ-ერთი პროფესორის რწმენებით ინდოეთში 3.000 ხალხური ჰანგია და 150 ჟანრი — რიტმის შესაქმნელად. პირველად ეს კონცერტი მეტად უცნაურად მომეჩვენა, მაგრამ მეც არ ვიცი, როგორ აჰყვა ჩემი ხელიც ხელების საერთო აკომპანემენტს.

ცოტა თუ ბევრად მსგავსი ცერემონიებით გვხვდებოდნენ ყველგან. ყველგან გულუხვი მასპინძლობა და ყვავილები... თითო წნულში, რომელსაც კისერზე გვკიდებდნენ, 100-200 ვარდის კოკორი იქნებოდა.

ამ მეტად უჩვეულო დარბაზობებზე ხანდახან სასაცილო მდგომარეობაშიც ვვარდებოდით. ერთი ასეთი შემთხვევა მქონდა, როდესაც ინდური — მეტად ცხარე საუბლით პირველად „ნაზიარებს“ მაკროფონთან მისვლა და, ისე როგორც მათ პოეტებშია მიღებული, ლექსების სიმღერით შესრულება მთხოვეს. რა მემღერებოდა, მაგრამ რას გავაწყობდი? შემდეგ კი საუმეესაც მივეჩვიე და ჩემ ახალ როლსაც — მომღერლის როლს.

გარდა ინდოეთის ცხოვრების გაცნობისა, ექსკურსიების, საქმიანი ვიზიტებისა თუ დარბაზობების დროს მე კიდევ ერთი საკითხით ვიყავი დაინტერესებული: ყველგან ვეძებდი მასალებს საქართველოზე და ინდოეთისა და საქართველოს ურთიერთობაზე. მაგრამ 19 დღე მეტად მცირეა ასეთი მასალის შესაგროვებლად. მე მოვუთხრობდი ყველას იმ შორეული მოგზაურებისა და მეგობრობის შესახებ და ვთხოვდი მოეწოდებინათ, რასაც კი იპოვნიდნენ. „ნუთუ ვერაფერს წავაწყდები, არსად შემხვდება ჩემი ქვეყნის სახელი?“ — ვეკითხებოდი თავს... და დიდად გავიხარე, როცა ჰაიდარაბადის უბრწყინვალეს მუზეუმში, სადაც თავმოყრილია უნიკალური ნმუშები, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ხელოვნებისა, ერთ-ერთ თაროზე, ჩვენი ძველებური ვერცხლის ჭურჭელი ვნახე, ხოლო ჰაიდარაბადის შესანიშნავ უნივერსიტეტში — პოემა სტალინზე.

ვინ იცის, რა გზით მივიდა მუზეუმის თაროსთან ჩვენი მამა-პაპის სიყვარულით ნახელავნები ჯამ-ჭურჭელი... იქნებ ქართველი ქალის მზითევია — ინდოელ მთავარზე გათხოვილისა, ან მეფე ვახტანგ გორგასლმა მიიართვა მეგობარ მეფეს ინდოეთში სტუმრობისას?

მე, მათ შორეულ შთამომავალს, ოქრო და ვერცხლი არ ჩამიტანია თან. მეორე ცალი „ვეფხისტყაოსნისა“ და თაგორის ქართულად დაბეჭდილი თხზულებანი ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარეს ბ-ნ ბალიგოს გადავეცი, ქართულად მოჩუქურთმებული სურა და მაგნტოფონისათვის ჩაწერილი ხალხური სიმღერები—სრულიად ინდოეთის ქალთა კონფერენციას. მასვე გადავეცი ჩვენი მანდილი, როგორც ქალთა მეგობრობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ემბლემა.

რომელ თაროს ამშვენებს ახლა ნეტავ ჩვენი სიამაყე „ვეფხისტყაოსანი“, სად იღერებენ ყელს მწვანე და შვინდისფერი, ოქროთი მოვარაყებული ქართული სურები და ქათქათებს თეთრად, ძველთაგან სფიცარი, ქართველი დედის წმინდა მანდილი? ან რა გრძნობით უსმენენ ინდოელები ჩვენი სიმღერების რადიოგადაცემებს?

ვფიქრობ, ის საჩუქრები ხანდახან მაინც მოაგონებენ ინდოელებს, რომ მთებსა და ზღვებს იქით არის მათი ძველისძველი მეგობარი, საბჭოთა საქართველო, რომელსაც მათთვის მხოლოდ სიკეთე და ბედნიერება სურს.

მრავალი მეგობარი შევიძინეთ ინდოეთში. ზოგი მათგანის ამ გაზაფხულზე მოწვევა გადაწყვეტილი აქვს საბჭოთა ქალების კომიტეტს. ისინი საქართველოსაც ინახულებენ.

რაღა თქმა უნდა, ჩვენი შეხვედრა თბილი და გულითადი იქნება.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთ „კომუნისტის“ № 57.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ Ⲛ. Ⲁ. ᲑᲣᲚᲒᲐᲜᲘᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პეკინი, 9 მარტი. (საკდესი). ჩინეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა დღეს დაბეჭდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პასუხი დ. ეიზენჰაუერის წერილზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მოუწოდებს შეერთებულ შტატებს დაჩქარონ სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების თათბირის მომზადება.

„ბულგანინი, — აღნიშნავს სათაურში გაზეთი „ჟენმინჟიბაო“,— ურჩევს ეიზენჰაუერს განზრახ არ გააჭიანუროს თათბირის მოწვევა და შეშფოთებას გამოთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი საომარი მზადების გამო“.

ამერიკის შეერთებული შტატები, ლაპარაკობენ რა უმაღლეს დონეზე კავშირის შესახებ, აღნიშნავს გაზეთი „დაგუნბაო“, ამავე დროს დაჩქარებით ახორციელებენ პრაქტიკულ მოქმედებას საომარი მზადების დარგში.

იქნება თუ არა მთავრობათა მეთაურების თათბირი, — ახლა ეს დამოკიდებულია ამერიკის შეერთებულ შტატებზე. საბჭოთა კავშირი მზად არის განიხილოს ყველა წინადადება „ცივი ომის“ შეწყვეტის შესახებ, აცხადებს გაზეთი „გუანმინჟიბაო“.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ

ვარშავა, 9 მარტი. (საკდესი). პოლონეთის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი. გაზეთმა „ტრიბუნა ლიუდუმ“ დღეს გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა განიხილოს უმაღლეს დონეზე საკითხი საომარი მიზნით კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვის შესახებ და გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი. აღნიშნა რა, რომ საბჭოთა მთავრობამ საომარი მიზნით კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვის საკითხი გაიერთიანა სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის საკითხთან, გაზეთი წერს: საბჭოთა წინადადება ამ საკითხების ერთობლივად განხილვის შესახებ საკმაოდ გასაგები და ღრმად დასაბუთებულია. ეს არის საქმიანი პოზიცია. იგი ითვალისწინებს ურთიერთ დათმობათა საჭიროებას, რომელიც შეადგენენ ერთადერთ რეალურ პლატფორმას შეთანხმებისათვის.

აღნიშნავს რა, რომ სსრ კავშირის მთავრობამ გამოთქვა აგრეთვე თანხმობა განიხილოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობით გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი, „ტრიბუნა ლიუდუ“ აცხადებს: საბჭოთა კავშირმა გადადგა შემდგომი ნაბიჯი საკმაოდ ძნელ გზაზე. ახლა საქმე ეხება იმას, რომ ასეთივე ნაბიჯები გადადგას მეორე მხარემ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სოფია, 9 მარტი. (საკდესი). ბულგარეთის გაზეთები მოწონავე და სარედაქციო სტატიებში კომენტარს უკეთებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პასუხს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის წერილზე და საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი. გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ მოწონავე სტატიაში აღნიშნავს, რომ ეს დოკუმენტები ახალი ბრწყინვალე დადასტურებაა საბჭოთა მთავრობის გულწრფელი მისწრაფებისა მიაღწიოს უახლოეს დროში მოლაპარაკებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა ძირის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ახალი საბჭოთა დოკუმენტები, ნათქვამია სტატიაში, შეიცავენ ახალ კონსტრუქციულ წინადადებებს, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოთა კეთილი ნებისას დაუაახლოებენ ორივე მხარის შეხედულებებს მთელ რიგ სადავო საკითხებში უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევასთან დაკავშირებით.

თუ ყველა სახელმწიფო მოღვაწე გამოიჩენს ახლანდელ საერთაშორისო პირობებში საჭირო რეალიზმს, წერს დასასრულ გაზეთი, წარმატებითი თათბირი უმაღლეს დონეზე შეიძლება გაიმართოს ახლო მომავალში. ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მთელი მსოფლიოს მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანები მხარს უჭერენ საბჭოთა წინადადებებს, რადგან ისინი წარმოადგენენ ყველაზე გადაუდებელი საერთაშორისო საკითხების გადაჭრისადმი ასეთი რეალისტური მიდგომის ნიმუშს. საბჭოთა მთავრობის ეს ახალი ნაბიჯები ემსახურება ყველა ხალხის ინტერესებს.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ფენიანი, 9 მარტი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის შესახებ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის წერილზე კორეის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ამ დოკუმენტების დაწვრილებითი შინაარსი და მიუძღვნეს მათ სტატიები, რომლებშიც სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

გაზეთი „ნოდონ სინმუნი“ წერს, რომ ეს დოკუმენტები ახალი გამოხატულებაა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებისა იმ სიძნელეების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიან თათბირის მოწვევას უმაღლეს დონეზე.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲡ ᲙᲘᲣᲡᲘᲣᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲝᲜᲡᲘᲣᲡ

ტოკიო, 9 მარტი. (საკდესი). როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, დღეს სიმონოსეკში ოფიციალურად გაიხსნა წყალქვეშა გვირაბი კამონი, რომელიც აკავშირებს კუნძულებს კიუსიუსა და ხონსიუს. ეს გვირაბი, რომლის სიგრძეა 3.460 მეტრი, მსოფლიოში მეორე წყალქვეშა გვირაბია სიგრძით მდინარე მერსეის (ინგლისი) ქვეშ არსებული გვირაბის შემდეგ.

ამ ორიაოსანი წყალქვეშა გზის ზემო იარუსი ავტომობილსპორტისათვის და ქვემო იარუსი — ქვეითებისათვის) აგების სამუშაოები დაიწყო 1937 წლის მაისში. მის აგებას, ნათქვამია კიოდო ცუსინის სააგენტოს ცნობაში, მოუნდა სულ 3.800 ათასი კაც-დღე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ

10 მარტს კიევიდან თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები — პროფესორი რიჩარდ სკემონი, პროფესორი სირილ ბლეკი და ჟურნალ „ფორჩუნის“ რედაქტორი ჰედლი დონოვანი, რომლებიც ეცნობიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას.

მათთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ნ. სოლოვიოვი და უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, რომლებიც მათ ახლავან სსრ კავშირში მოგზაურობის დროს.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსულ სტუმრებს აეროდრომზე შეხვდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ეღლომიძე, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ი. პ. ხეთაგური, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ა. ქოჩორაძე, ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ი. ყუფარაძე, ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორი ა. ა. თევზაძე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები. (საქდესი).

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები საქართველოს დედაქალაქში. სურათზე: სტუმრები თბილისის აეროპორტში.

ფოტო გ. კიკვაძისა და ხ. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲘᲠᲐᲜᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

თბილისში ორ დღეს იყო სტუმრად ირანის ქალთა დელეგაცია. სტუმრები ინტერესით ეცნობოდნენ ქალაქის ღირსშესანიშნაგ ადგილებს, მის კულტურულ დაწესებულებებს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციაზე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ. ბავშვებმა ირანელ ქალებს უჩვენეს თავიანთი კაბინეტები, ლაბორატორიები, სახელოსნოები, ვრცელი დარბაზები, უჩვენეს თავიანთი წარმატებანი მხატვრულ თვითმოქმედებაში. — რა ბედნიერები ხართ, — შენიშნა სასახლის დათვალიერების დროს დელეგაციის შეთაურმა ქ-ნმა ფარანკის შადმანმა. — მათ დედობრივ მზრუნველობას უწევენ შესანიშნავი აღმზრდელები. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ ყოველივე ნახულით.

დელეგაციის წევრებს მეგობრული შეხვედრები ჰქონდათ ქართველ ქალებთანაც — სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, პედაგოგებთან, მსახიობებთან.

— ჩვენ მოხარული ვართ, — განაცხადა სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის ირანის საზოგადოების წევრმა ეფათ აჟირმა, — რომ მოგვეცა ბედნიერი შესაძლებლობა მშვიდრო ურთიერთობა დავამყაროთ საბჭოთა ქალებთან, რომლებსაც ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

დელეგაციის წევრები გამოვიდნენ თბილისის ტელევიზიით. ქ-ნმა ფარანკის შადმანმა, კერძოდ, თქვა:

— დიდმა პოეტმა ჰაფეზმა ერთხელ წარმოთქვა: „ეს ყრმა ერთ ღამეში საუკუნოვან გზას გადის“. მე მსურს ვთქვა, რომ საქართველოს ქალებმა 40 წელიწადში მოიპოვეს ისეთი წარმატებანი, რომელთა მიღწევისათვის სხვა ქვეყნების ქალებს ორ საუკუნეზე მეტი დასჭირდებოდათ.

მოფიქრებული გეგმების განხორციელების მეოხებით ქალის განთავისუფლება საბჭოთა კავშირში მოხდა ისეთ მოკლე ვადაში, რომლის მაგალითი დღემდე არ არის ისტორიაში. როცა სამშობლოში დავბრუნდებით, ჩვენ ვუამბობთ ირანელ ღებს ქართველი ხალხის უდიდეს მიღწევებს. და ეს იქნება ჩვენი საუკეთესო საჩუქარი, რომელსაც წავიღებთ საქართველოდან.

ტელევიზიით გამოსვლის დროს პოეტმა ქალმა ლოაბად შეიბანიმ წაიკითხა საკუთარი ლექსი „დედა“, ხოლო მომღერალმა ვაქილმა ნიჭჯუმ შეასრულა ირანული ეროვნული სიმღერები.

სტუმრების თბილისიდან გამგზავრებას წინ უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის საბჭოს წევრმა ფ. დ. დუმბაძემ მოაწყო დარბაზობა მათ პატივსაცემად. დარბაზობაზე, რომელმაც დიდი გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ მუშა ქალები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

10 მარტს დელეგაცია მოსკოვში გაფრინდა. (საქდესი).

რედაქტორი პ. რატიანი.

სომხეთის სსრ კულტურის სამინისტრო
ერევნის ა. სპანდარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის

გასტროლები

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრის შენობაში

შაბათს, 15 მარტს

ა. ტიგრანიანი

ანუშ

ოპერა 4 მოქმედებად

კვირას, 16 მარტს დღისით

გ. ეგიაზარიანი

სევანი

ბალეტი 4 მოქმედებად
საღამოს

შ. გუნო

რომეო და ჯულიეტა

ოპერა 4 მოქმედებად რუსულ ენაზე
ორშაბათს, 17 მარტს

ა. ტიგრანიანი

დავიდ-ბეგი

ოპერა 4 მოქმედებად
სამშაბათს, 18 მარტს

ა. ტიგრანიანი

ანუშ

ოპერა 4 მოქმედებად
ოთხშაბათს, 19 მარტს

ტ. ჩუხაჯიანი

არშაკ მეორე

ოპერა 4 მოქმედებად
ხუთშაბათს, 20 მარტს

ანდრეი ბაბაევი

არცვაბერდ

ოპერა 4 მოქმედებად

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ს. დღისით — 12 ს. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.

დირექცია.

დღეს

თბილისის თეატრებში

მარჯანიშვილის სახელობის — მარინე, **გრიბოედოვის სახელობის** — მეექვსე სართული, **სომხური დრამის** — როგორ მოვათვინიეროთ ცოლი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სომბრერო (ა.ბ. № 18, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — კოკლი მეწოსკვილე (ა.ბ. № 7, 10 ს.), **თოჯინების ქართული** — დიდი ივანე (11 ს.), ჭაკუა და გამოცდილება (2 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. (9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ისანი — ივნისის დღეები, **სპარტაკი** — ისინი ხუთნი იყვნენ, **თბილისი** — დუნაის ქალიშვილი, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ოფიცერთა სახლი** — ბალტიის დიდება, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — სევანელი მეთევზეები.

ᲕᲔᲠᲒᲔᲑᲐᲓᲐᲡᲣᲚᲗᲐ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ 12 ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

19.00 — წინასაარჩევნო კრებისა და კონცერტის ტრანსლაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის აპარატის მუშაკები იუწყებიან
კონსტანტინე ლუკას-ძე გურგენიძის გარდაცვალებას.

როზა, ნინო, პავლე, ვახტანგ, გივი, ივანე გურგენიძეები ოჯახებით იუწყებიან
კოტე ლუკას-ძე გურგენიძის გარდაცვალებას.

გრიგოლ ეორეიკაშვილი, ალექსი ბექაური, გიორგი წეროძე, ზაალ დუდური ოჯახებით იუწყებიან
კოტე ლუკას-ძე გურგენიძის გარდაცვალებას.

მეუღლე ქეთევან, შვილები გივი, მიხეილ, ციალა, ეუჟენა, ნათელა, დები ნინო, მატრონე, მინდორა, ლიდა, ძმები მეთოდე, კალისტრატე, რძლები ნინო, ლამარა, სიძეები რ. ღლონტი, ნ. ჭოღოშვილი იუწყებიან
ფარნაოზ მალაქიას-ძე ტრაპაიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-III სოფ. შუასურებში (ჩოხატაურის რ.).

დედა ნუცა, მამა გიორგი, მეუღლე რუსუდან, დები ცაცო, ნინელი, ძმა ზალიკო; მარიამ ავაზაშვილი იუწყებიან
ვალიკო (ანგი) გიორგის-ძე ავაზაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-III, 4 ს. ყვარელში.

მეუღლე დინა, შვილები ოლია, ნათელა, გიორგი, სიძე სპარტაკ ხატიაშვილი, რძალი ვარია ალანია იუწყებიან
სიმონ სპირიდონის-ძე ალანიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-III, 8 ს. გამოსვენება 13-III, 4 ს. ძერკინსკის ქ. № 22.

შვილები სიმონ, ალმასხან, ანანია, პლატონ, რძლები რებეკა, მარიამ, ელენე, ტასო, სიძე ა. ჩახუნაშვილი ოჯახებით იუწყებიან
**პარმენ ალმასხანის